



ASIC

Australian Securities & Investments Commission

მარაგულირებადი სახელმძღვანელო 260

დირექტორების, აუდიტის კომიტეტების ან უფროსი მენეჯერების ინფორმირება აუდიტის ფაილაბში გამოვლენილი ფაქტების თაობაზე

ივნისი 2017

სახელმძღვანელოს შესახებ

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც აუდიტორული ფირმებისთვის, ასევე კომპანიების, პასუხისმგებელი სუბიექტების ან იმ სუბიექტების აუდიტის კომიტეტებისა და უფროსი მენეჯერებისთვის, რომლებსაც ევალებათ გარკვეული ტიპის ინფორმაციის გამჟღავნება.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ახსნილია ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი რომელი ფაქტების შესახებ ვაწვდით ინფორმაციას დირექტორებს, აუდიტის კომიტეტებს ან უფროს მენეჯერებს. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ჩვენ მიერ განხორციელებულ პროცესსა და ინფორმირების ვადებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ავსტრალიის ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისიის (ASIC) მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ

საკანონმდებლო საქმიანობის ფარგლებში ASIC-ი გამოსცემს შემდეგი ტიპის მარეგულირებელ დოკუმენტებს:

საკონსულტაციო დოკუმენტები: ითხოვს უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან ASIC-ის მიერ შემოთავაზებულ საკითხებზე, როგორცაა მაგალითად, გარკვეული მოთხოვნებისგან გათავისუფლება ან შემოთავაზებული მარეგულირებელი მითითებები.

მარეგულირებელი სახელმძღვანელოები: იძლევა მითითებებს რეგულირებული სუბიექტებისთვის შემდეგ საკითხებზე:

- როდის და როგორ გამოიყენებს ASIC-ი კანონმდებლობით მინიჭებულ კონკრეტულ უფლებამოსილებებს (ძირითადად, კორპორაციების აქტი);
- როგორ განმარტავს ASIC-ი კანონს;
- აღწერს იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ASIC-ის მიდგომას;
- იძლევა პრაქტიკულ მითითებებს (მაგალითად, პროცესის ეტაპების აღწერა, როგორცაა ლიცენზიის მისაღებად განაცხადის გაკეთება, ან პრაქტიკული მაგალითები იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება გადაწყვიტოს რეგულირებულმა სუბიექტმა თავისი ვალდებულებების შესრულება).

საინფორმაციო ბიულეტენი: მოცემულია მოკლე და ზუსტი მითითებები კონკრეტულ პროცესზე ან შესაბამისობის საკითხებზე, ან დეტალური სახელმძღვანელო მითითებების ზოგადი მიმოხილვა.

ანგარიშები: აღწერილია ASIC-ის შესაბამისობასთან ან მოთხოვნებისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული საქმიანობა ან კვლევის პროექტის შედეგები.

წინამდებარე სახელმძღვანელოს ისტორია

წინამდებარე სახელმძღვანელო გამოიცა 2017 წლის ივნისში და იგი ეფუძნება გამოცემის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

პასუხისმგებლობაზე უარის თქმა

წინამდებარე სახელმძღვანელო არ მოიცავს რჩევებს იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენი რეკომენდაციაა, თავად გაიაროთ პროფესიული კონსულტაცია იმის დასადგენად, თუ როგორ შეგეხებათ თქვენ კორპორაციების აქტი თუ სხვა მოქმედი კანონები, ვინაიდან თქვენი ვალდებულებების განსაზღვრა თქვენივე პასუხისმგებლობაა.

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულ მაგალითებს მხოლოდ საილუსტრაციო დანიშნულება აქვს; ისინი არც ამომწურავია და არც კონკრეტული წესების ან მოთხოვნების დაწესების ან გათვალისწინებისთვის არ არის გამიზნული.

შინაარსი

ა მიმოხილვა	4
ASIC-ის უფლებამოსილება ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების საკითხში	4
გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების კრიტერიუმები	6
ASIC-ის მიერ განხორციელებული პროცესი და ინფორმირების ვადები	7
დირექტორების ინფორმირება ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის სტანდარტული ინსპექტირების შესახებ	8
ბ ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირება	9
გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების ძირითადი საფუძველი	9
მთავარი აქცენტები აუდიტის ინსპექტირებისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე ზედამხედველობის პროცესში	10
ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების კრიტერიუმები	11
აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების კრიტერიუმები	12
როდესაც შეუძლებელია დასაბუთებული რწმუნების მოპოვება	12
წინა წლების აუდიტში გამოვლენილ ფაქტებზე რეაგირება	14
სხვა საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმირება	15
გ ინფორმირების პროცესი და ვადები	16
კონფიდენციალურობა	16
ფინანსური ანგარიშგების საკითხები	17
აუდიტის ხარისხის საკითხები	19
დ დირექტორების ინფორმირება ფაილის სტანდარტული მიმოხილვის შესახებ	22
ძირითადი პრინციპები	22
ინფორმირების ვადები	23
ძირითადი ტერმინები	24
დაკავშირებული ინფორმაცია	26

5 მიმოხილვა

საკვანძო მომენტი

ავსტრალიის ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისიის 2001 წლის აქტით (ASIC-ის აქტი) ნებადართულია ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი კონკრეტული ფაქტების შესახებ პირდაპირ მივაწოდოთ ინფორმაცია კომპანიების, პასუხისმგებელი სუბიექტების ან იმ სუბიექტების დირექტორებს, აუდიტის კომიტეტებსა და უფროს მენეჯერებს, რომლებსაც ევალებათ გარკვეული ტიპის ინფორმაციის გამჟღავნება.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულია მითითებები შემდეგ საკითხებზე:

- ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების კრიტერიუმები (იხ. განყოფილება „ბ“);
- ჩვენ მიერ განხორციელებული პროცესი (მათ შორის, ჩვენი პროცედურული სამართლიანობის ვალდებულებების შესრულებისთვის) და ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ დირექტორების, აუდიტის კომიტეტებისა და უფროსი მენეჯერების ინფორმირების ვადები (იხ. განყოფილება „გ“); და
- დირექტორების ინფორმირება ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის სტანდარტული მიმოხილვის ძირითადი პრინციპების თაობაზე და ამგვარი კომუნიკაციის ვადები (იხ. განყოფილება „დ“).

ASIC-ის უფლებამოსილება ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების საკითხში

მს 260.1 ASIC-ის აქტის განყოფილება 127 (2D) ნებას რთავს ASIC-ის თავმჯდომარეს ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას გამოვლენილი ფაქტების შესახებ (როგორც ფინანსურ ანგარიშგებასთან, ისე აუდიტის ხარისხთან მიმართებით) ინფორმაცია მიაწოდოს უშუალოდ კომპანიების, პასუხისმგებელი სუბიექტების ან იმ სუბიექტების დირექტორებს, აუდიტის კომიტეტებს ან უფროს მენეჯერებს, რომლებსაც ევალებათ გარკვეული ტიპის ინფორმაციის გამჟღავნება, რათა მათ დაეხმაროს საქმეების სათანადოდ მართვაში.

მს 260.2 ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი ფაქტების (არა ყველას, არამედ შერჩევითად) შესახებ ინფორმირება მოხდება იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია „ბ“ განყოფილებაში. როგორც წესი, შესაბამისი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებამდე სულ მცირე 7 დღით ადრე, ჩვენ საქმის კურსში ჩავაყენებთ იმ აუდიტორს, რომელსაც აღნიშნული საკითხი ეხება.

მს 260.3 სუბიექტთან გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს შემდეგ საკითხებს:

- ა) როგორ ჩაატარა სუბიექტის აუდიტი ავსტრალიელმა აუდიტორმა; ან
- ბ) სუბიექტის შესაბამისობა:
 - (i) 2001 წლის კორპორაციების აქტის (კორპორაციების აქტი) თავი 2M-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგებების მომზადების თაობაზე; ან
 - (ii) კორპორაციების აქტის 674-ე და 675-ე განყოფილებების უწყვეტი გამჟღავნების მოთხოვნებთან.

მს 260.4 ინფორმირებისას ყოველთვის არ არის საჭირო დავეყრდნობთ ASIC-ის აქტის 127(2D) განყოფილებას. ეს დებულება ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც კონფიდენციალური ინფორმაცია არ მჟღავნდება.

გარდა ამისა, განყოფილება 127 (3A) ნებას გვრთავს გავამჟღავნოთ კონფიდენციალური ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ აუდიტორის თანხმობას.

მს 260.5 მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გამოგვიყენებია ASIC-ის აქტის 127 (2D) განყოფილებით მონიჭებული უფლებამოსილება, რათა ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას გამოვლენილი ფაქტების შესახებ სტანდარტული ფორმით მიგვეწოდებინა ინფორმაცია დირექტორებისთვის, აუდიტის კომიტეტებისთვის ან უფროსი მენეჯერებისთვის, აღნიშნული უფლებამოსილება დაგვებმარა, არაერთ შემთხვევაში, გვეთანამშრომლა აუდიტორულ ფირმებთან იმ სუბიექტებთან დაკავშირების საკითხზე, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში სერიოზული ხარვეზები იქნა გამოვლენილი.

- მს 260.6 ჩვენ გვგვამის, რომ ზოგიერთი აუდიტორული ფირმა ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას გამოვლენილი ფაქტების შესახებ შესაბამის პირებს ინფორმაციას აწვდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტორული სუბიექტი ამას მოითხოვს. თუმცა, დამკვიდრებული საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკით, აუდიტორული ფირმების უმეტესობა დირექტორებს აწვდის ინფორმაციას ASIC-ის მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას.
- მს 260.7 საინფორმაციო ბიულეტენი 196 *აუდიტის ხარისხი - დირექტორებისა და აუდიტის კომიტეტების ფუნქცია* (Audit Quality – the role of directors and audit committees (INFO196)) აუდიტის კომიტეტებს აძლევს რეკომენდაციას მოსთხოვონ აუდიტორულ ფირმებს ჩვენ მიერ სუბიექტის აუდიტის ფაილის მიმოხილვის შედეგები.
- მს 260.8 ჩვენი უფლებამოსილება წარვუდგინოთ ანგარიში დირექტორებს, აუდიტის კომიტეტებს ან უფროს მენეჯერებს ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ASIC-ის აქტის განყოფილება 127(2) მიხედვით, განცალკევებული და განსხვავებულია ჩვენი უფლებამოსილებისგან გამოვცეთ ანგარიში აუდიტის ნაკლოვანების შესახებ ASIC-ის აქტის განყოფილება 50 (C) მიხედვით. წინამდებარე სახელმძღვანელო არ ეხება აუდიტის ნაკლოვანების ანგარიშის გამოქვეყნებას, რომელიც განსაზღვრულია ASIC-ის აქტის 50(C) განყოფილებით.

გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების კრიტერიუმები

- მს 260.9 წინამდებარე სახელმძღვანელოს „ბ“ განყოფილებაში, მოცემულია მითითებები იმ კრიტერიუმებზე, რომელზე დაყრდნობითაც განვსაზღვრავთ ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილ რომელ ფაქტებს გავუმჟღავნებთ იმ სუბიექტების დირექტორებს, აუდიტის კომიტეტებს ან უფროს მენეჯერებს, რომლებსაც ეს საკითხი ეხებათ.
- მს 260.10 ჩვენ ვიძლევიტ ახსნა-განმარტებას იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლებსაც ვიყენებთ გამოვლენილი ფაქტების ინფორმირების პროცესში მაშინ, როდესაც აუდიტის ფაილის ინფორმაციაზე დაყრდნობით ნამდვილად მივიჩნევთ, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლოა იყოს არსებითი უზუსტობები.
- მს 260.11 გარდა ამისა, ამ განყოფილებაში მოცემულია აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ

ინფორმირების ჩვენ მიერ დადგენილი კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება ცალკეულ შემთხვევებში, მაშინ როდესაც:

- (ა) ჩვენი აზრით, აუდიტორს არ აქვს მოპოვებული დასაბუთებული რწმუნება, იმის თაობაზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;
- (ბ) აუდიტორმა არ მოახდინა რეაგირება აუდიტის ხარისხთან მიმართებით ჩვენ მიერ წინა წლებში გამოვლენილ ფაქტებზე;
- (გ) აუდიტორმა ვერ შეასრულა დამოუკიდებლობის მოთხოვნები;
- (დ) ჩვენ ვაპირებთ მივიღოთ იძულებითი ზომები აუდიტორის წინააღმდეგ; ან
- (ე) ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით არსებობს სხვა პრობლემური საკითხები.

ASIC-ის მიერ განხორციელებული პროცესი და ინფორმირების ვადები

მს 260.12 ჩვენ ვთანამშრომლობთ აუდიტორულ ფირმებთან იმ სუბიექტებთან დაკავშირების მიმართულებით, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში აუდიტის ფაილის ინფორმაციაზე დაყრდნობით გარკვეული თვალსაზრისით სერიოზული ხარვეზები იქნა გამოვლენილი.

მს 260.13 წინამდებარე სახელმძღვანელოს „გ“ განყოფილებაში ახსნილია ჩვენ მიერ განხორციელებული პროცესი (მათ შორის ჩვენი პროცედურული სამართლიანობის ვალდებულებების შესრულებისთვის) და აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ სუბიექტის დირექტორების, აუდიტის კომიტეტების ან უფროს მენეჯერების ინფორმირების ვადები.

დირექტორების ინფორმირება ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის სტანდარტული ინსპექტირების შესახებ

- მს 260.14 წინამდებარე სახელმძღვანელოს „დ“ განყოფილებაში ახსნილია ჩვენი მიდგომა, რომელსაც ვიყენებთ აუდიტირებული სუბიექტის დირექტორთა საბჭოს ინფორმირების პროცესში იმის თაობაზე, რომ ჩვენი სტანდარტული ინსპექტირების პროცესში ვაპირებთ მიმოვიხილოთ სუბიექტთან დაკავშირებული აუდიტის ფაილი.
- მს 260.15 ინფორმაციას ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის დაგეგმილი მიმოხილვის შესახებ აუდიტორული ფირმის ინფორმირებიდან 5 სამუშაო დღის შემდეგ ვაწვდით დირექტორებს. ჩვენი რჩევაა დირექტორებმა მოითხოვონ ინფორმაცია უშუალოდ თავიანთი აუდიტორებისგან ნებისმიერ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ჩვენი მიმოხილვის შედეგად.

ბ ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირება

საკვანძო მომენტი

ამ განყოფილებაში ახსნილია ძირითადი საფუძველი და ის კრიტერიუმები, რომლებსაც ვიყენებთ ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ კომპანიების, პასუხისმგებელი სუბიექტებისა და იმ სუბიექტების დირექტორების, აუდიტის კომიტეტებისა და უფროსი მენეჯერების ინფორმირების პროცესში, რომლებსაც ევალებათ გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნება.

გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების ძირითადი საფუძველი

მს 260.16 ფინანსური ანგარიშგების ხარისხზე ძირითადი პასუხისმგებლობა დირექტორებს ეკისრებათ. ფინანსური ანგარიშგებისა და დამოუკიდებელი აუდიტის ხარისხი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. დირექტორები არ უნდა დაეყრდნონ მხოლოდ აუდიტორის სამუშაოს. ისინი ასევე უნდა დარწმუნდნენ, რომ სუბიექტს აქვს შესაბამისი სისტემები და პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების ხარისხს. გარდა ამისა, დირექტორებმა ხელი უნდა შეუწყონ მაღალი ხარისხის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების პროცესს ინვესტორთა და მომხმარებელთა ნდობის ასამაღლებლად.

მს 260.17 აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ხარისხის მიმართ ჩვენ მიერ გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების ძირითადი პრინციპია, დავეხმაროთ დირექტორებს:

- (ა) მიიღონ ზომები სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ნაკლოვანებებზე რეაგირებისთვის;
- (ბ) გააუმჯობესონ სისტემები და პროცესები, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- (გ) ჰქონდეთ კავშირი აუდიტორთან იმ ეტაპებთან დაკავშირებით, რომლებიც აუდიტორმა უნდა გაიაროს აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

შენიშვნა: იხილეთ [INFO 196](#)

მს 260.18 ჩვენი ძირითადი პრინციპები ასახავს ASIC-ის აქტის განყოფილება 127(2D)(c)-ის მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ შესაბამისი გამჟღავნებელი ინფორმაცია უნდა დაეხმაროს სუბიექტს მისი საქმეების სათანადოდ მართვაში.

მს 260.19 თუ აუდიტორი აუდიტის ჩატარებისას რეაგირებას არ მოახდენს ნაკლოვანებებზე, დირექტორებმა შეიძლება მოითხოვონ აუდიტორის თანამდებობიდან გადადგომა ან მოხსნა.

მთავარი აქცენტები აუდიტის ინსპექტირებისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე ზედამხედველობის პროცესში

მს 260.20 აუდიტის ინსპექტირებისა და ფინანსური ანგარიშგების ზედამხედველობის პროცესში:

- (ა) უფრო მეტად ყურადღება გამახვილებულია აღიარებისა და შეფასების საკითხებზე, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს მოგებასა და წმინდა აქტივებში პოტენციურ არსებით უზუსტობებს (რომლებიც წარმოიშობა სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებით გაკეთებული არჩევანიდან და შეფასებებიდან (მაგალითად, აქტივის ღირებულებები)), ვიდრე განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების საკითხებზე;

(ბ) გამოირიცხება საკითხები, რომლებიც, ჩვენი აზრით, გონივრული განსჯის ფარგლებშია; და

(გ) გამოირიცხება ის საკითხები, რომლებიც, ჩვენი აზრით, წარმოიშობა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების ინტერპრეტაციის პროცესში და რომლებიც შეიძლება შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების დამდგენი ორგანოების ან ინტერპრეტაციების კომიტეტის განხილვის საგანი იყოს.

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების კრიტერიუმები

ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობები

მს 260.21 ფინანსური ანგარიშგების ხარისხისა და ინვესტორებისა და მომხმარებლების ინფორმირებისა და ნდობის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ჩვენ მივაწვდით ინფორმაციას სუბიექტის დირექტორებს, აუდიტის კომიტეტებს ან უფროს მენეჯერებს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას გამოვავლენთ, რომ სუბიექტის ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობას. ჩვენ მივუთითებთ კონკრეტულ ინფორმაციაზე, რომელიც ასახულია აუდიტის ფაილში სუბიექტის ჩანაწერებთან მიმართებით, რაც მათ დაეხმარება მითითებულ საკითხებზე უფრო ეფექტურად და დროულად რეაგირებაში.

მს 260.22 „გ“ განყოფილებაში ახსნილია ის პროცესი, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით გამოვლენილი კონკრეტული ფაქტების შესახებ დირექტორებისთვის, აუდიტის კომიტეტების ან უფროსი მენეჯერებისთვის ინფორმაციის მიწოდებამდე. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა აუდიტის ფაილიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, ამგვარი საკითხების შესახებ ინფორმირება ხდება ASIC-ის აქტის განყოფილება 127(2D)-ის მიხედვით, ან აუდიტორის თანხმობით (განყოფილება 127(3A)).

აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირების კრიტერიუმები

როდესაც შეუძლებელია დასაბუთებული რწმუნების მოპოვება

მს 260.23 ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი ფაქტების (არა ყველას, არამედ ჩვენი კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული) შესახებ ინფორმაციას მივაწვდით შესაბამისი სუბიექტების დირექტორებს, აუდიტის კომიტეტებს ან უფროს მენეჯერებს.

მს 260.24 ჩვენ მიერ გამოვლენილი ფაქტების ინფორმირება მოხდება მაშინ, როდესაც გაგვიჩნდება მოსაზრება, რომ აუდიტორს არ აქვს მოპოვებული დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ სუბიექტის ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას. ასევე, გათვალისწინებულ იქნება ქვემოთ მოცემული ყველა ან რამდენიმე შემთხვევა:

- (ა) იმ საკითხების სერიოზულობა/სიმწვავე, რომლებიც შეფასდა კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე, ყველა შესაბამისი ფაქტისა და გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის გათვალისწინებულ იქნება ჩვენი შეფასება შემდეგთან დაკავშირებით - გამოვლენილი ფაქტების ხასიათი და მოცულობა, შესაძლო გავლენა და ამგვარი გავლენის წარმოქმნის ალბათობა, ასევე გამოვლენილ იქნა თუ არა ფაქტები აუდიტის მთელ რიგ ძირითად საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა მაგალითად, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება უკვე გადაანგარიშებული და, თუ არა, მაშინ როგორია ფინანსურ ანგარიშგებაში ფაქტობრივი არსებითი უზუსტობის არსებობის ალბათობა, ასევე ამგვარი უზუსტობის შესაძლო საბაზრო ეფექტი;

- (ბ) შეუძლია თუ არა აუდიტორს დაასაბუთოს, რომ მან წერილობით ყოვლისმომცველად დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია მიაწოდა სუბიექტის აუდიტის კომიტეტს ან დირექტორებს.
- (გ) გამოასწორა თუ არა უკვე აუდიტორულმა ფირმამ საყურადღებო საკითხები შესაბამისი აუდიტის წლისთვის აუცილებელი აუდიტორული სამუშაოს შესრულებით;
- (დ) თუ საკითხი ჯერ არ გამოსწორებულა, მაშინ:
 - (i) მოახდინა თუ არა აუდიტორმა საკითხებზე ადეკვატური რეაგირება დროულად;
 - (ii) აქვს თუ არა აუდიტორს მზად განსაზღვრული გეგმები საკითხებზე რეაგირებისთვის; და
 - (iii) აქვს თუ არა აუდიტორს ამგვარ საკითხებზე დამაკმაყოფილებლად რეაგირების ისტორია;
- (ე) ახდენს თუ არა საკითხები გავლენას მთელ რიგ სუბიექტებზე; და
- (ვ) არსებობს თუ არა, ჩვენი მოსაზრებით, სერიოზული განუსაზღვრელობა აუდიტის სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიერ მოთხოვნილ აუდიტის სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებით.

მს 260.25 მს 260.24-ში აღწერილი კრიტერიუმები დაფუძნებულია აუდიტის მიზანზე (როგორც ეს ჩამოყალიბებულია აუდიტის სტანდარტებში და კანონის სახით ძალაშია კორპორაციების აქტით), რაც გულისხმობს დასაბუთებული რწმუნების მოპოვებას, იმის თაობაზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას. აუდიტის სტანდარტებში ჩამოყალიბებულია ის სტრუქტურული საფუძვლები, რომლებსაც ეყრდნობა ჩვენი კრიტერიუმები და რომლებსაც ვიყენებთ აუდიტის ხარისხის შესაფასებლად. აუდიტის ხარისხის შეფასების ამ საფუძვლებს ასევე იყენებს აუდიტის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების საერთაშორისო ფორუმი (International Forum of Independent Audit Regulators) და აუდიტის ზედამხედველობის სხვა საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების უმეტესობა.

წინა წლების აუდიტში გამოვლენილ ფაქტებზე რეაგირება

- მს 260.26 ჩვენ ასევე განვიხილავთ გამოვლენილი ფაქტების თაობაზე ინფორმირების შესაძლებლობას, იმ შემთხვევაში როდესაც:
- (ა) შევატყობინებთ აუდიტორს, რომ ჩვენი შეხედულებით მან არ მოიპოვა დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ სუბიექტის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავდა არსებით უზუსტობას;
 - (ბ) ჩვენი მოსაზრებით, გამოვლენილი ფაქტები არის სერიოზული/მწვავე (იხ. კრიტერიუმები: მს 260.24(ა)); და
 - (გ) ჩვენ მიერ მომდევნო აუდიტის მიმოხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ რეაგირება არ მომხდარა იმ საკითხებზე, რაზეც ყურადღება გავამახვილეთ.

დამოუკიდებლობის მოთხოვნების შეფასება

- მს 260.27 ჩვენ გავამჟღავნებთ ინფორმაციას გამოვლენილი ფაქტების შესახებ, როდესაც მივიჩნევთ, რომ სუბიექტის აუდიტორი არ ასრულებს კორპორაციების აქტის დამოუკიდებლობის მოთხოვნებს (მათ შორის პროფესიულ მოთხოვნებს), არ რეაგირებს შესაბამის საკითხებზე და ვერ ასაბუთებს იმას, რომ მან უკვე წერილობით დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია მიაწოდა დირექტორებს, ან აღნიშნა ამის შესახებ აუდიტორის სავალდებულო დამოუკიდებლობის განაცხადში.

- მს 260.28 აღნიშნული გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირება დაეხმარება დირექტორებსა და აუდიტის კომიტეტებს, გაითვალისწინონ აუდიტორის დამოუკიდებლობის დონე აუდიტორების დანიშვნის დროს რეკომენდაციის გაცემისას.

შენიშვნა: იხილეთ [INFO 196](#)

პოტენციური იძულებითი ზომები

- მს 260.29 მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არ შევატყობინოთ სუბიექტის დირექტორებს, რომ ვაპირებთ სუბიექტის აუდიტორის წინააღმდეგ იძულებითი ზომების მიღებას, ჩვენ სუბიექტს ინფორმაციას მივაწვდით გამოვლენილი ფაქტების შესახებ, როდესაც ისინი შედარებით სერიოზულია/მწვავეა.

მს 260.30 ასეთ შემთხვევაში, ასევე კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით, ჩვენ მივაწვდით სუბიექტის დირექტორებს ინფორმაციას აუდიტის ნაკლოვანებების შესახებ, რათა მათ შეძლონ საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღება (მაგალითად, აუდიტორის თანამდებობიდან გადადგომა ან მოხსნა).

სხვა საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმირება

მს 260.31 ჩვენ შეიძლება აუდიტის ფაილის შესახებ ინფორმაცია გავუმჟღავნოთ დირექტორებს, აუდიტის კომიტეტებს ან უფროს მენეჯერებს, როდესაც ვფიქრობთ, რომ პრობლემურია, მაგალითად, შემდეგი საკითხები:

- (ა) სუბიექტი, ოფიციალური შეტყობინების მიუხედავად, არ აწვდის ASIC-ს მოთხოვნილ ინფორმაციას;
- (ბ) აუდიტორებისა და დირექტორებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია შეუსაბამოა; ან
- (გ) დირექტორებს შეიძლება არ ჰქონდეთ შესაბამისი ინფორმაცია ოფშორულ შვილობილ საწარმოსთან დაკავშირებით.

მს 260.32 ჩვენ განვახორციელებთ შესაბამის პროცედურებს (მათ შორის ჩვენი პროცედურული სამართლიანობის ვალდებულებების შესასრულებლად) აუდიტორის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნებამდე (იხ. განყოფილება „გ“).

მს 260.33 ჩვენ განვიხილავთ, უნდა ჰქონდეთ თუ არა ინფორმაცია ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას გამოვლენილი ფაქტების შესახებ სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანოებს, როგორებიცაა, მაგალითად, ავსტრალიის პრუდენციული რეგულირების ორგანო (Australian Prudential Regulation Authority (APRA)), ან ავსტრალიის საგადასახადო სამსახური (Australian Taxation Office (ATO)).

გ ინფორმირების პროცესი და ვადები

საკვანძო მომენტი

ამ განყოფილებაში ახსნილია ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის მიმოხილვისას ფინანსურ ანგარიშგებასა ან/და აუდიტის ხარისხთან მიმართებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ დირექტორების, აუდიტის კომიტეტების ან უფროსი მენეჯერების ინფორმირების პროცესი და ვადები.

ჩვენ ვეცდებით ვითანამშრომლოთ აუდიტორულ ფორმებთან, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის სუბიექტები, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი ხარვეზები იქნა აღმოჩენილი, ინფორმირებულნი არიან ჩვენ მიერ გამოვლენილი ფაქტების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში, გამოვიყენებთ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას, რომ გავამჟღავნოთ შესაბამისი ინფორმაცია.

კონფიდენციალურობა

მს 260.34 ASIC-ის აქტის 127-ე განყოფილების 1-ლი პუნქტის მიხედვით ჩვენ ვალდებულნი ვართ მივმართოთ გონივრულ ზომებს, რათა თავიდან ავიცილოთ იმ ინფორმაციის გამჟღავნება და უკანონო გამოყენება, რომელსაც კონფიდენციალურად ვიღებთ კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებთან დაკავშირებით (განყოფილება 127(1)). კონკრეტულ შემთხვევებში, ინფორმაციის გამჟღავნება და გამოყენება კანონით დაშვებულია (127-ე განყოფილების 2-6 პუნქტები). [მარეგულირებელი სახელმძღვანელო 103](#) (Regulatory Guide 103) *კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა (Confidentiality and release of information)*, როგორც წესი, ეხება ASIC-ის 127-ე განყოფილების შესაბამისად ინფორმაციის გამჟღავნებას, ასევე იმას, თუ როგორ ვასრულებთ ჩვენს პროცედურული სამართლიანობის ვალდებულებებს ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებისას. წინამდებარე სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია ჩვენ მიერ ASIC-ის განყოფილება 127

(2D)-ის შესაბამისად ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რომელიც წაკითხულ უნდა იქნეს მარეგულირებელ სახელმძღვანელო 103-თან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების საკითხები

- მს 260.35 აუდიტის სტანდარტული ინსპექტირების გარდა, ჩვენ ასევე ვახორციელებთ ფინანსური ანგარიშგების ზედამხედველობას. თუ ამგვარი ფინანსური ანგარიშგების ზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში გაგვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ სუბიექტის ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებითად მცდარი იყოს, ნებისმიერ ინფორმაციას ან ახსნა-განმარტებას ჩვენ მოვითხოვთ უშუალოდ შესაბამისი სუბიექტისგან. როგორც წესი, ჩვენ მივაწვდით სუბიექტის აუდიტორს საწყისი გამოკითხვის წერილს. თუ სუბიექტთან გასაგზავნი წერილი შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ამის ნაცვლად, ჩვენ აუდიტორს ვაცნობებთ, რომ ამგვარი წერილი გაგზავნილია სუბიექტთან.
- მს 260.36 თუ აუდიტის ფაილიც მიმოვიხილეთ, შესაძლოა საჭიროდ მივიჩნიოთ აუდიტის ფაილის კონფიდენციალური ინფორმაციის სუბიექტთან გასაგზავნი წერილში შეტანა. ჩვენ ამას გავაკეთებთ აუდიტორთან თანამშრომლობით და მისი თანხმობით, ASIC-ის აქტის განყოფილება 127 (3A)-ს ან განყოფილება 127 (2D)-ის შესაბამისად.
- მს 260.37 თუ აუდიტის ფაილის მიმოხილვის შედეგად ჩვენი მოსაზრებით სუბიექტის ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებითად მცდარი იყოს, ჩვენ აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაციას გავუმჟღავნებთ უშუალოდ სუბიექტის აუდიტის კომიტეტებს, დირექტორებს ან უფროს მენეჯერებს, რათა მათ მაშინვე მიიღონ სათანადო ზომები (იხ. მს 260.21– მს 260.22).
- მს 260.38 ჩვენ ვითანამშრომლებთ აუდიტორთან აღნიშნული საკითხების შესახებ სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. თუმცა, როდესაც ჩვენ დარწმუნებულები ვიქნებით, რომ საკითხის შესახებ ინფორმაცია უნდა გადაეცეს სუბიექტის დირექტორებს, აუდიტის კომიტეტს ან უფროს მენეჯერებს, ხოლო აუდიტორი კონფიდენციალური ინფორმაციის

გამჟღავნების წინააღმდეგია, ჩვენ შეიძლება მივმართოთ ჩვენს უფლებამოსილებას, რომელიც გათვალისწინებულია ASIC-ის აქტის განყოფილებით 127 (2D) და ინფორმაცია მივაწოდოთ უშუალოდ სუბიექტს. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მივცემთ აუდიტორს ლოგიკურ შესაძლებლობას, რათა აგვიხსნას, არის თუ არა დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ არ უნდა გავუმჟღავნოთ ინფორმაცია სუბიექტის დირექტორებს, აუდიტის კომიტეტს ან უფროს მენეჯერებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავაპირებთ ინფორმაციის გამჟღავნებას იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა აუდიტი, როგორც წესი, ამის თაობაზე აუდიტორს ვაცნობებთ 7 დღით ადრე (განყოფილება 127 (2F)). თუ აუდიტორი შესაბამის მიზეზებს წარადგენს, ჩვენ მათ გავითვალისწინებთ სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მს 260.39 სუბიექტთან კომუნიკაციისას ჩვენ არ მივაწვდით მას კონფიდენციალურ ინფორმაციას აუდიტორის მიერ მომზადებული აუდიტის სამუშაო დოკუმენტაციის შესახებ, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ისინი დაკავშირებულია იმ საკითხებთან, რომლებიც მოცემულია მს 260.24 – მს 260.31 პუნქტებში, ან სხვაგვარად დაეხმარებოდა სუბიექტს საქმეების სათანადოდ მართვაში.

მს 260.40 როგორც წესი, ჩვენ აუდიტის ფაილის მხოლოდ იმ ინფორმაციას გავუმჟღავნებთ სუბიექტს, რომელიც სუბიექტმა აუდიტორს გადასცა (მაგალითად, გაუფასურების ტესტირების მოდელი და შესაბამისი დაშვებები), ან იმ ინფორმაციას, რომელიც აუდიტორმა მიაწოდა კომპანიას ან დირექტორებს (მაგალითად, აუდიტის კომიტეტის საბჭოს ანგარიში ან ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი წერილები და ა.შ.).

მს 260.41 ზოგიერთ შემთხვევაში, ინფორმაციის გამჟღავნების შემოთავაზებული მეთოდის შესახებ ანგარიშის წარსადგენად აუდიტორს შეიძლება უფრო მოკლე პერიოდი მივცეთ, ვიდრე ეს ჩვეულებრივ იქნებოდა, საკითხის დროულად გადაჭრისა და შესაბამისი პირების სათანადოდ ინფორმირების უზრუნველსაყოფად. ეს შეიძლება განპირობებული იყოს სუბიექტთან დაკავშირებული კონკრეტული ფინანსური გარემოებებით, ან, მაგალითად, მისი შემდეგი ფინანსური ანგარიშგების ვადებით.

- მს 260.42 მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საკითხი შეიძლება აღნიშნული იყოს აუდიტორის დასკვნაში და მიემართებოდეს წევრებს ან წარმოდგენდეს აუდიტორის დირექტორებთან კომუნიკაციის ნაწილს, ეს აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ ამგვარი საკითხები სათანადოდ იქნა განხილული.
- მს 260.43 როდესაც, ჩვენი აზრით, არსებობს მნიშვნელოვანი უთანხმოება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, ჩვენ შესაძლოა კონსულტაციისთვის მივმართოთ შესაბამის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტების დამდგენ ორგანიზაციებს ან ინტერპრეტაციის კომიტეტს, ნაცვლად იმისა, რომ საკითხის შესახებ ინფორმაცია გავამჟღავნოთ სუბიექტის აუდიტის კომიტეტებთან, დირექტორებთან ან უფროს მენეჯერებთან.

აუდიტის ხარისხის საკითხები

- მს 260.44 ფირმის ინსპექტირების ფარგლებში რეგულარულად მიმოვიხილავთ აუდიტის ფაილს მთელი წლის განმავლობაში. როგორც წესი, ყოველი მე-18 თვის ბოლოს გავცემთ თითოეულ ფირმაზე კონფიდენციალურ ანგარიშებს, რომლებშიც მოცემულია ძირითადად აღნიშნულ პერიოდში შესრულებული მიმოხილვისას გამოვლენილი ფაქტები.
- მს 260.45 იმის ნაცვლად, რომ დაველოდოთ კონფიდენციალური ანგარიშის შევსებას, ინდივიდუალური აუდიტის ფაილის მიმოხილვის დროს ფირმას წერილობით ვაწვდით ინფორმაციას თითოეული მიმოხილვისას გამოვლენილი ფაქტების შესახებ.
- მს 260.46 შესაძლოა კონფიდენციალური ანგარიშის შევსებამდე მივაწოდოთ ინფორმაცია დირექტორებს, აუდიტის კომიტეტებს ან უფროს მენეჯერებს აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული იმ საკითხების შესახებ, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა აუდიტის ფაილების მიმოხილვისას.

- მს 260.47 გარდა ამისა, ვახორციელებთ აუდიტორებზე ზედამხედველობას კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე, როდესაც, მაგალითად, მივიღებთ შეტყობინებას აუდიტის პოტენციური ნაკლოვანებების ან აუდიტორის არამართლზომიერი საქციელის შესახებ.
- მს 260.48 დირექტორებთან, აუდიტის კომიტეტებთან ან უფროს მენეჯერებთან დაგვიანებული კომუნიკაცია არასასურველია აუდიტის ხარისხთან მიმართებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარსულში ჩატარებული აუდიტი საჭიროებს გამოსწორებას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს შემდგომ აუდიტზე.
- მს 260.49 ვეცდებით ვითანამშრომლოთ აუდიტორთან იმისთვის, რომ სუბიექტს მიაწოდოთ ინფორმაცია აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ჩვენ მივცემთ აუდიტორს სათანადო შესაძლებლობას იმისთვის, რომ რეაგირება მოახდინოს ჩვენ მიერ გამოვლენილ ფაქტებზე.
- მს 260.50 როდესაც დავაპირებთ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ჩვენ ამის თაობაზე აუდიტორს ვაცნობებთ სულ მცირე 7 დღით ადრე (განყოფილება 127 (2F)). ამ პერიოდის განმავლობაში აუდიტორმა შეიძლება წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტი იმის შესახებ, დარწმუნებულია თუ არა, რომ ჩვენ უნდა გავამჟღავნოთ ინფორმაცია შემოთავაზებული მეთოდით. თუ აუდიტორი წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, ჩვენ მას გავითვალისწინებთ ინფორმაციის გამჟღავნების გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- მს 260.51 იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორი გონივრულ ვადაში არ უპასუხებს ჩვენ მიერ გაგზავნილ შეტყობინებას ზემოთ აღნიშნულ საკითხზე, ჩვენ შესაძლოა ინფორმაცია მივაწოდოთ სუბიექტის დირექტორებს, აუდიტის კომიტეტს ან უფროს მენეჯერებს აუდიტორის პასუხის მიღების გარეშე. თუმცა, პირველ რიგში, ვეცდებით გავარკვიოთ, რა არის აუდიტორისგან დაგვიანებული პასუხის მიზეზი და ჩვენ გავითვალისწინებთ ამგვარ მიზეზებს.
- მს 260.52 ის ფაქტი, რომ აუდიტორი არ ეთანხმება ჩვენს დასკვნებს/გამოვლენილ ფაქტებს, არ არის საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ საკითხის შესახებ ინფორმაცია არ მივაწოდოთ სუბიექტის დირექტორებს, აუდიტის კომიტეტს ან უფროს მენეჯერებს. თუმცა, საკითხის ინფორმირების

შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გავითვალისწინებთ აუდიტორის მიერ გამოთქმულ ნებისმიერ მოსაზრებას. ამასთან, ჩვენ შეიძლება განვიხილოთ ჩვენი განზრახვა გამოვლენილი ფაქტების შესახებ შესაბამისი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდების საკითხის შესახებ აუდიტის ფორმის ზედა დონის ხელმძღვანელობასთან.

მს 260.53 მას შემდეგ, რაც განვიხილავთ აუდიტორის მიერ შემოთავაზებულ საპასუხო მოსაზრებებს გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით და მივიღებთ გადაწყვეტილებას, მივაწოდოთ ინფორმაცია სუბიექტებს, ჩვენ აუდიტორის პასუხის მოკლე შეჯამებას თან დავურთავთ სუბიექტისთვის გაზიარებულ ინფორმაციას.

მს 260.54 თუ, ჩვენი აზრით, არსებობს მნიშვნელოვანი და სარწმუნო უთანხმოებანი აუდიტის სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, კონსულტაციისთვის შეიძლება მივმართოთ შესაბამის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტების დამდგენ ორგანოებსა და ინტერპრეტაციების კომიტეტებს, ნაცვლად იმისა, რომ საკითხის შესახებ ინფორმაცია გავუმჟღავნოთ კომპანიის აუდიტის კომიტეტებს, დირექტორებს ან უფროს მენეჯერებს.

დ დირექტორების ინფორმირება ფაილის სტანდარტული მიმოხილვის შესახებ

საკვანძო მომენტი

ამ განყოფილებაში ახსნილია დირექტორებთან, აუდიტის კომიტეტებსა და უფროს მენეჯერებთან ჩვენი კომუნიკაციის ვადები და ძირითადი პრინციპები, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მიმოვიხილავთ სუბიექტთან დაკავშირებულ აუდიტის ფაილებს ჩვენ მიერ აუდიტორული ფირმის სტანდარტული ინსპექტირების ფარგლებში.

ძირითადი პრინციპები

- მს 260.55 აუდიტორული ფირმების უმეტესობა კომპანიებს აწვდის ინფორმაციას, როდესაც მათი აუდიტის ფაილები ASIC-ის ინსპექტირებას ექვემდებარება. თუმცა, წინამდებარე სახელმძღვანელო პროცესის ფორმალიზებას ახდენს იმგვარად, რომ ნებისმიერ გარემოებაში, ჩვენ შევატყობინებთ სუბიექტის დირექტორებს იმის შესახებ, რომ ვაპირებთ სუბიექტთან დაკავშირებული აუდიტის ფაილის მიმოხილვას.
- მს 260.56 დირექტორების დროული ინფორმირება იმის თაობაზე, რომ ASIC-ი მიმოხილავს მათ სუბიექტთან დაკავშირებულ აუდიტის ფაილებს, დირექტორებს საშუალებას მისცემს, ჩვენი მიმოხილვის შედეგად წარმოქმნილ ნებისმიერ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად პირდაპირ თავიანთ აუდიტორებს მიმართონ.
- მს 260.57 ამგვარი ინფორმაცია დირექტორებს საშუალებას მისცემს, ჰკითხოთ აუდიტორს, რა ზომებს მიმართავს იმისთვის, რომ:
- (ა) რეაგირება მოახდინოს ნებისმიერ საკითხზე ან პრობლემაზე;
 - (ბ) გააუმჯობესოს აუდიტის ხარისხი; და
 - (გ) ხელი შეუწყოს ფინანსური ანგარიშგების ხარისხის მიმართ ინვესტირებისა და მომხმარებელთა ნდობის ამაღლებას.

მს 260.58 მიუხედავად იმისა, რომ მიმოხილვისთვის ჩვენ მიერ აუდიტის ფაილის შერჩევა ხდება რისკზე დაფუძნებული მიდგომით, მხოლოდ მიმოხილვისთვის შერჩეული აუდიტის ფაილით არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ფინანსური ანგარიშგება ან აუდიტორის სამუშაო არაადეკვატურია.

ინფორმირების ვადები

მს 260.59 როგორც წესი, აუდიტის ფაილის დაგეგმილი ინსპექტირების შესახებ აუდიტორულ ფირმებს ვაცნობებთ ჩვენი მიმოხილვის დაწყებამდე სულ მცირე 10 სამუშაო დღით ადრე. გარდა ამისა, აუდიტორული ფირმის ინფორმირებიდან 5 სამუშაო დღის შემდეგ კომპანიას ვაწვდით ინფორმაციას ჩვენი დაგეგმილი მიმოხილვის შესახებ.

ძირითადი ტერმინები

ტერმინი	განმარტება წინამდებარე დოკუმენტში
ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები	ავსტრალიის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული სტანდარტები კორპორაციების აქტის 334-ე განყოფილების ფარგლებში.
ASIC	ავსტრალიის ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისია.
ASIC-ის აქტი	<i>ავსტრალიის ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების კომისიის 2001 წლის აქტი.</i>
აუდიტორული ფირმა	ფირმა, რომელიც თანახმაა დაინიშნოს, ან რომელიც დანიშნულია, როგორც კომპანიის ან რეგისტრირებული მართული საინვესტიციო სქემის აუდიტორი ან ასევე ფირმა, რომელიც ახორციელებს იმ სუბიექტის აუდიტს, რომელსაც ევალება გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნება.
აუდიტის ინსპექტირების პროგრამა	ASIC-ის მიერ განხორციელებული აუდიტის ფაილისა და აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის მექანიზმების პროაქტიული მიმოხილვების პროგრამა აუდიტთან დაკავშირებით კორპორაციების აქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმართულებით.
აუდიტორის ზედამხედველობა	ASIC-ის მერ აუდიტის ფაილის (საპასუხო) მიმოხილვა, რომელიც რეაგირებას ახდენს მიღებულ ინფორმაციაზე და აუდიტის ხარისხთან დაკავშირებულ შესაძლო ხარვეზებზე.
ფინანსური ანგარიშგების ზედამხედველობის პროგრამა	ASIC-ის მიერ განხორციელებული შერჩეული კოტირებული კომპანიებისა და სხვა საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების პროაქტიული მიმოხილვის პროგრამა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით კორპორაციული აქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმართულებით.

აუდიტის სტანდარტები	აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული სტანდარტები კორპორაციების აქტის 336-ე განყოფილების ფარგლებში
კორპორაციების აქტი	<i>2001 წლის კორპორაციების აქტი</i> , მათ შორის ამ აქტის მიზნებისთვის მიღებული სხვა ნორმატიული აქტები
ფინანსური ანგარიშგება	მთელი წლის ან ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოითხოვება კორპორაციების აქტის 2M.3-ე ნაწილით
INFO 196 (მაგალითად)	ASIC-ის საინფორმაციო ბიულეტენი (ამ ნიმუშში 196 ნომრით)
ASIC-ის აქტის განყოფილება 127(2F) (მაგალითად)	ASIC-ის აქტის განყოფილება (ამ ნიმუშში 127(2F) ნომრით), თუ კონკრეტულად სხვა რამ არ არის მითითებული
კორპორაციების აქტის განყოფილება 674-ე (მაგალითად)	კორპორაციების აქტის განყოფილება (ამ ნიმუშში 674 ნომრით), თუ კონკრეტულად სხვა რამ არ არის მითითებული

დაკავშირებული ინფორმაცია

შესავალი შენიშვნები

აუდიტის პროცესში გამოვლენილი ფაქტები, აუდიტორები, აუდიტორული ფირმები, აუდიტის პროცესში გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმირება, პროცესი, ფინანსური ანგარიშგება, ინსპექტირება, არსებითი უზუსტობა, ზედამხედველობა, ვადები.

მარეგულირებელი სახელმძღვანელოები

[RG 103](#) კონფიდენციალურობა და ინფორმაციის გაცემა (*Confidentiality and release of information*)

კანონმდებლობა

ASIC-ის აქტი, განყოფილებები 127(1), 127(2), 127(2D), 127(2D)(c), 127(2F), 127(3A)

კორპორაციების აქტი, თავი 2M, განყოფილება 674, განყოფილება 675

საკონსულტაციო დოკუმენტები და ანგარიშები

[CP 265](#) აუდიტის პროცესში გამოვლენილი ფაქტების შესახებ დირექტორების, აუდიტის კომიტეტების ან უფროსი მენეჯერების ინფორმირება (*Communicating audit findings to directors, audit committees or senior managers*)

საინფორმაციო ბიულეტენი

[INFO 196](#) აუდიტის ხარისხი—დირექტორებისა და აუდიტის კომიტეტების ფუნქცია (*Audit quality – The role of directors and audit committees*)

თარგმანი მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედა მხედველობის სამსახურის სრული პასუხისმგებლობით.

ASIC არ არის პასუხისმგებელი თარგმნილი დოკუმენტის შინაარსსა და თარგმანის სიზუსტეზე. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მკითხველმა უნდა მიმართოს დოკუმენტის ორიგინალს, ინგლისურ ვერსიას.

The translation has been prepared under the full responsibility of Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision (SARAS). ASIC bears no responsibility for the content of the document or for the accuracy of the translation. In case of doubt the reader should refer to the original English version of the document.